# შიდაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№8 (10.113)

23—30 მარტი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# მერების შეთანხმება ბრიუსელში

***12-17 მარტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში იმყოფებოდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერების შეთანხმების აღმოსავლეთის პროექტის საბჭოს სხდომაზე პირადად „მერების შეთანხმება –აღმოსავლეთის“ გუნდის ლიდერმა კრისტოფ ფრერინგმა მიიწვია.***

ვიზიტის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი მონაწილეობდაკონფერენციაში „ევროკავშირის მწვანე შეთანხმება ადგილობრივ ქმედებებში.“ აღნიშნულ კონფერენციაზე ხელი მოეწერა მერების შეთანხმებას „მწვანე გარდაქმნისათვის“. ევროკავშირის ქვეყნების მერებთან ერთად დოკუმენტს ხელი მოაწერეს ქართული დელეგაციის წევრებმა, მათ შორის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა.

მდგრადობის, კლიმატის სტრატეგიების და ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილების გაზიარების მიზნით , კონფერენციის მონაწილეები იმყოფებოდნენ ბელგიის ქალაქ ლუვენში, აღნიშნული პროექტის ეფექტურად განხორციელების მიზნით ასევე განხორციელდა სხვა ღონისძიებებიც.

მერების შეთანხმების აღმოსავლეთის პროექტის საბჭოს სხდომაზე საქართველოს გარდა, იმყოფებოდნენ დელეგაციები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან. ადგილობრივი თვითმმართველობებიდან საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან ერთად იმყოფებოდა ასევე ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განმარტებით, ვიზიტი მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო.

# იაპონია დედოფლისწყაროს სახანძრო მანქანას გადასცემს

***შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, იაპონიის საელჩოს დახმარებით კიდევ ორ სახანძრო-სამაშველო ავტომობილს მიიღებს. ისინი დედოფლისწყაროსა და საჩხერეში განაწილდება.***

იაპონიის საელჩოში გამართულ ოფიციალურ ცერემონიაზე, საგრანტო ხელშეკრულებას ხელი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა – თემურ მღებრიშვილმა და იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა – იშიძუკა ჰიდეკიმ მოაწერეს.

ოფიციალური მიღების ფარგლებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა, თემურ მღებრიშვილმა და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა დამსწრეებს სიტყვით მიმართეს და ელჩს გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე – მალხაზ მერაბიშვილი და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი – ლევან ივანაშვილი.

ახალი სახანძრო-სამაშველო ავტომობილები განკუთვნილია როგორც ტყის, ასევე ურბანულ ხანძრებთან ბრძოლის წინააღმდეგ. გადმოცემული ავტომობილები, საჩხერის და დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო განყოფილებებში განაწილდება.

პროექტი იაპონიის მთავრობის გრასრუტისა და ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო დახმარების (GGP) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება. პროექტის ფარგლებში, იაპონელი პარტნიორების დახმარებით გადმოცემული უკვე მე-8 სახანძრო-სამაშველო ავტომობილია. მხარეებს შორის თანამშრომლობა 2018 წლიდან მიმდინარეობს და მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

C M Y K

# დედოფლისწყაროში მედიაციის ცენტრი გაიხსნა

დედოფლისწყაროსა და დმანისში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მედიაციის სივრცეები გაიხსნა. ადგილზე მედიაციის პროცესის საჭიროებები სრულად არის გათვალისწინებული. მხარეებისთვის უზრუნველყოფილია მოლაპარაკების წარმოების ყველა პირობა. სათანადოდ აღჭურვილ სივრცეში ყველა პირობაა იმისთვის, რომ მედიატორებს დაკისრებული მოვალეობის შესრულება გაუმარტივდეთ.

მედიაციის ახალი სივრცეებით სარგებლობა ასევე შეეძლება აღსრულების ეროვნული ბიუროს მხარეთა ინტერესების დაცვის მენეჯერებსა და სოციალურ მუშაკებს სააღსრულებო საქმისწარმოების პროცესის განსახორციელებლად.

მედიაცია დამზარალებელსა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის ამოწურვას ემსახურება. ის აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს ეყრდნობა და ორიენტირებულია დანაშაულის შემხებლობაში მყოფი ყველა პირის ჩართულობაზე, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

მედიაციის სივრცეები თბილისში, ქუთაისში, ხაშურში, ოზურგეთში, ახალქალაქში, სენაკში, ბათუმში, გორში, საჩხერეში, ხობში და დღეიდან, უკვე დედოფლისწყაროსა და დმანისში მოქმედებს.

ახალი ოფისები დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ლადო ხელაძემ და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე მირიან ხარაბაძემ გახსნეს.

# „ევროკავშირმა საქართველოს კარი გაუღო“

ევროკავშირმა საქართველოს კარი გაუღო. ახლა ქართველებმა უნდა გაიარონ ეს კარი. კარი ღიაა, მაგრამ თქვენ თავად უნდა გაიაროთ ეს კარი ერთად, - ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ განაცხადა.

მისი თქმით, მოხარულია იმით, რომ საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით განაცხადი გააკეთა და კიდევ უფრო მოხარულია იმით, რომ ევროკავშირმა მას, კანდიდატის სტატუსის მინიჭებით, კარი გაუღო.

„საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა. ახლა ქართველებმა უნდა გაიარონ ეს კარი. ასე რომ, კარი ღიაა, მაგრამ თქვენ თავად უნდა გაიაროთ ეს კარი ერთად. ევროკავშირის ინტეგრაციის პრიორიტეტზე ერთიანობა აბსოლუტურად აუცილებელია, საჭიროა ყველამ ერთად კონსტრუქციულად იმუშაოს, მაგრამ რამდენად სწრაფად გააკეთებთ ამას, თქვენი გადასაწყვეტია. მე ვგულისხმობ იმას, თუ რაიმე მიზეზით გრძნობთ, რომ გჭირდებათ მეტი დრო, ან რომ კიდევ მეტად უნდა დაფიქრდეთ, ან არსებობს სხვა პრიორიტეტები ევროკავშირში ინტეგრაციის გარდა, ეს თქვენი არჩევანია. როგორც ევროკავშირი, ჩვენ პატივს ვცემთ ნებისმიერ არჩევანს, რაც აქ, თბილისში გაკეთდება, მაგრამ რაშიც ნამდვილად მინდა დაგარწმუნოთ, არის, რომ კანდიდატის სტატუსის მინიჭებით, 27 წევრმა ქვეყანამ ხმამაღლა განაცხადა : კარი ღიაა, გელოდებით“, - აღნიშნა ელჩმა.

კითხვაზე, ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 ნაბიჯიდან რომელია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ელჩმა უპასუხა, რომ ყველა მათგანი მნიშვნელოვანია.

„მე სრულად ვეთანხმები, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალის ერთგულებით, შეუერთდნენ ევროკავშირს, ძალიან მყარი, პროფესიონალური ადმინისტრირებით, ევროკავშირში გაწევრიანების უზარმაზარი სახალხო მხარდაჭერით, ცხრავე ნაბიჯი შეიძლება ძალიან სწრაფად განხორციელდეს, მაგრამ კიდევ გავიმეორებ, რომ დრო იწურება. როგორც ვიცით, საქართველოში არჩევნები ახლოვდება და საარჩევნო კამპანია არ არის საუკეთესო გარემო სერიოზული რეფორმების განსახორციელებლად. ასე რომ, დრო არ უნდა დაიკარგოს“, - აღნიშნა ელჩმა.

დიპლომატის თქმით, ევროკავშირმა საქართველოს კარი გაუღო.

„ევროკავშირმა, თავის მხრივ, საქართველოს კარი გაუღო. საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა. ახლა ქართველებმა უნდა გაიარონ ეს კარი. ასე რომ, კარი ღიაა, მაგრამ თქვენ თავად უნდა გაიაროთ ეს კარი ერთად. ევროკავშირის ინტეგრაციის პრიორიტეტზე ერთიანობა აბსოლუტურად აუცილებელია, საჭიროა ყველამ ერთად კონსტრუქციულად იმუშაოს, მაგრამ რამდენად სწრაფად გააკეთებთ ამას, თქვენი გადასაწყვეტია. მე ვგულისხმობ იმას, თუ რაიმე მიზეზით გრძნობთ, რომ გჭირდებათ მეტი დრო, ან რომ კიდევ მეტად უნდა დაფიქრდეთ, ან არსებობს სხვა პრიორიტეტები ევროკავშირში ინტეგრაციის გარდა, ეს თქვენი არჩევანია. როგორც ევროკავშირი, ჩვენ პატივს ვცემთ ნებისმიერ არჩევანს, რაც აქ, თბილისში გაკეთდება, მაგრამ რაშიც ნამდვილად მინდა დაგარწმუნოთ, არის, რომ კანდიდატის სტატუსის მინიჭებით, 27 წევრმა ქვეყანამ ხმამაღლა განაცხადა: კარი ღიაა, გელოდებით“, - აღნიშნა ელჩმა

# „ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის...“

***21 მარტი დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღეა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხარდაჭერით დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი თანამშრომლებთან ერთად დაესწრნენ.***

**ირინა ფიროსმანაშვილი, *პედაგოგი*** — „არა მხოლოდ ეს დღე, არამედ თითოეული დღე უნდა იყოს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებზე ზრუნვის დღე. დიდი მადლობა დედოფლისწყაროს ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ ამ დღეს ყოველთვის აღნიშნავენ, რითიც ხელს უწყობენ ცნობიერების ამაღლებას. ფაქტია, რომ დაუნის სინდრომთან დაკავშირებით საზოგადოებაში კვლავ არსებობს სტიგმა., რომელიც ყველამ ერთად უნდა დავანგრიოთ. დაუნის სინდრომი გენეტიკური ცვლილებაა და ის არ არის დაავადება. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანს ნაცვლად 46 ქრომოსომისა, აქვს დამატებით ერთი ქრომოსომა 21-ე წყვილში, რასაც 21-ე წყვილის ტრისომია ეწოდება. ყოველი 800 ბავშვიდან ერთი დაუნის სინდრომით იბადება. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი შესაძლებელია ეყოლოს ნებისმიერ ადამიანს. დაუნის სინდრომი დაავადება კი არა, გენეტიკური ცვლილებაა. დაუნის სინდრომი არც მემკვიდრეობითია და არც გადამდები. მე, როგორც საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენელმა, კარგად ვიცი, რომ ყველაფერი კეთდება სკოლებში დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის. ჩვენ გვყავს მოსწავლეები ნინი და ლანა, რომელთა ჩართულობითაც ბევრი ღონისძიება იმართება. დაუნის სინდრომის ცნობიერების ამაღლების მიზნით იმართება აქტივობები სახელწოდებით: „მზის შვილები“, „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“, „ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის“...

განათლების სამინისტრო მათ აძლევს სწავლის და განვითარების შესაძლებლობას. სწორი აღზრდისა და დროული სოციალიზაციის პირობებში ზედმეტქრომოსომიანი ადამიანები ჩვეულებრივ მოქალაქეებად ყალიბდებიან. ჩვენ სკოლაში გავაგრძელებთ კვირეულს სახელწოდებით „ერთად დავანგრიოთ სტერეოტიპები“.

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი, *დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი:*** „დღეს ყველა ვართ ნინისთვის და ლანასთვის შეკრებილები. მათ მშობლებს უღრმესი მადლობა, რომ ყოველთვის აქტიურად უდგანან გვერდში მათ შვილებს და ყველაფერს აკეთებენ მათი რესოციალიზაციისთვის. ყოველწლიურად ვატარებთ ღონისძიებას დაუნის სინდრომის ცნობიერების ამაღლების მიზნით. ჩვენც ვიზრდებით და ვაცნობიერებთ, რომ მეგობრები მართლაც არ ითვლიან ქრომოსომებს“.

ღონისძიების დასასრულს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და მეფე ვახტანგ გორგასლის სკოლა-ინტერნატის სახელით ლანას და ნინის სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. ხოლო იმ პატარებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს ღონისძიებაზე დასწრება (დ.კოკოზაშვილი,მ. ალადაშვილი) ბინაზე გაეგზავნათ საჩუქრები.

* * *

ყველაფერი დაიწყო 1866 წელს, როცა ბრიტანელმა ფიზიკოსმა ჯონ დაუნმა პირველმა აღწერა ქრომოსომული პათოლოგია, რომლის დროსაც ადამიანს 46-ის ნაცვლად, 47 ქრომოსომა აქვს და მას მონღოლიზმი უწოდა. აღსანიშნავია, რომ 1965 წელს, მონღოლმა დეპუტატებმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას მიმართეს თხოვნით გაეუქმებინათ ეს ტერმინი და სწორედ ამის შემდეგ, სინდრომს აღმომჩენი ფიზიკოსის სახელი ეწოდა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, 5-7 წლის ბავშვის ჩონჩხი აღმოაჩინეს, რომელიც V-VI საუკუნეებით დათარიღდა. ეს იყო პირველი ბავშვი დაუნის სინდრომით!

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე პირველად 2006 წლის 21 მარტს აღინიშნა და ეს კონკრეტული თარიღიც სპეციალურად შეირჩა. საიუბილეო რიცხვი 21-ე ქრომოსომაზე მიგვანიშნებს, მარტი კი, როგორც წელიწადის მესამე თვე — ტრისომიულ მოვლენას! დაუნი ავადმყოფობა არ არის, ის მდგომარეობაა, სინდრომია! აღიარებული ფაქტია, რომ 47 ქრომოსომის მატარებლები ძალიან კეთილები არიან. მათთვის უბრალო გაღიმებაც კი, ბედნიერების მომტანია. ყველაზე მეტად ახარებთ ადამიანებთან ურთიერთობა. ერთ-ერთ იმ გულწრფელ და ლაღ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებიან, ვისაც უხარიათ, როცა თქვენ გიხარიათ! სულ მარტივად, ერთი გაღიმებითა და ტკბილი სიტყვით შეგიძლიათ მათი ნდობის მოპოვება. ეცადეთ, გააბედნიეროთ, გააღიმოთ და უდიდესი სიყვარული დაანახოთ. საბედნიეროდ, დღეს, სახელმწიფოსა და პროფესიონალი ექიმების თუ კეთილი ადამიანების დახმარებით, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები ჩვენთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან ინტეგრირებულნი არიან. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ერთ დღესაც, კიდევ უფრო უკეთეს მსოფლიოში გავიღვიძებთ თუ 47 ქრომოსომიან გოგო-ბიჭებს უფრო მეტს გავუღიმებთ, მეტს ვიშრომებთ მათი სწრაფი ნაბიჯებით განვითარებისათვის და მეტად ვეცდებით შევუქმნათ გარემო, სადაც თავს განსხვავებულებად კი არა, განსაკუთრებულებად იგრძნობენ!

**ინგა შიოლაშვილი**

# პრემიერი ირაკლი კობახიძე გუბერნატორებსა და მერებს შეხვდა

***საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს შეხვდა. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ კახეთის გუბერნატორი გიორგი ალადაშვილი და დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.***

მთავრობის მეთაურმა განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე ისაუბრა და სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ ტყემალაძე და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე წარუდგინა.

შეხვედრაზე რეგიონებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილეს და ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებულ საჭიროებებზე იმსჯელეს. პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მიმართულებით სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

გუბერნატორებმა და მერებმა მთავრობის მეთაურისგან კონკრეტული დავალებები მიიღეს, რომლებზე მუშაობაც უახლოეს თვეებში მოუწევთ..

# სიღნაღთან დამაკავშირებელი გზის მოასფალტება გრძელდება

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სიღნაღის მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება***

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასფალტის საფარისა და ხელოვნური ნაგებობების მოწყობა. 4 კმ-იან მონაკვეთზე კი, უკვე მოწყობილია ასფალტ-ბეტონის საფარი.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება 10.5 კმ-იან მონაკვეთს. სარეაბილიტაციო გზა სოფელ არბოშიკიდან იწყება და სოფელ ზემო მაჩხაანს გაივლის. პროექტით გათვალისწინებულია ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაცია. ასევე მოეწყობა მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, მიერთებები და საგზაო ნიშნები. მოინიშნება გზის სავალი ნაწილიც.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 11.7 მილიონი ლარია.

კახეთის რეგიონში საგზაო ინფრასტრუქტურის 12 რეაბილიტაციის და 4 ნაპირსამაგრი და სტიქიის პრევენცია-ლიკვიდაციის პროექტები მიმდინარეობს.

პროექტების ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 138 კმ გზას, საიდანაც 110 კმ გზის რეაბილიტაცია მიმდინარე წელსვე დასრულდება. რეაბილიტირდება ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის 33.6 კმ-იანი მონაკვეთი, ამ დროისთვის მოწყობილია ხელოვნური ნაგებობების 90% და 12 კმ-ზე მოწყობილია ასფალტის საფარი.

დასრულების ეტაპზეა ახმეტა-ბაწარას ნაკრძალის საავტომობილო გზის დუისი-ჯიბახევის 8 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია

აქტიურად მიმდინარეობს ახმეტა-თელავი-ბაკურციხის უშუალოდ თელავზე გამავალი საავტომობილო გზის 5 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები

რეაბილიტაცია უტარდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სიღნაღის მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას

პროექტების დასრულება საავტომობილო გზებზე კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს პროექტებს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს, რეაბილიტაციის პროექტების ჯამური ღირებულება 178 მილიონი ლარია. ჯამურად თექვსმეტივე პროექტის ღირებულება კი - 183 მილიონი ლარი

# რეგიონული კონფერენცია კახეთში ლიეტუველ კოლეგებთან ერთად

***ყვარლის მუნიციპალიტეტის და მასთან დამეგობრებული პლუნგეს მუნიციპალიტეტის (ლიეტუვა) ერთობლივი რეგიონული კონფერენცია, სახელწოდებით „თანამშრომლობითი ყვარელი" გაიმართა.***

კონფერენცია ოფიციალურად გახსნეს და მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, გივი ზაუტაშვილმა.

კონფერენცია მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.

კონფერენციაში კახეთის რეგიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. მათ შორის იყო დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ პაპიაშვილი.**

პროექტის ფარგლებში სექტემბრის თვეში, ასევე, იგეგმება ყვარლის მუნიციპალიტეტიდან დელეგაციის სასწავლო ვიზიტი ლიეტუვას რესპუბლიკაში, გამოცდილების გაზიარების მიზნით.

# მესაზღვრის დღე მიულოცეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს №4 სამმართველოს ეწვივნენ და მესაზღვრეებს პროფესიული დღე მიულოცეს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ნუგზარ პაპიაშვილმა მესაზღვრეებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვაში გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადეს და პროფესიული წარმატებები უსურვეს.

საქართველოში მესაზღვრის დღე 1999 წლიდან აღინიშნება.

# სასწრაფო დახმარების სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

***საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დედოფლისწყაროს სამსახურის ხელმძღვანელმა ვასილ სამადაშვილმა თანამდებობა დატოვა. საკადრო ცვლილება გაზეთ „შირაქს" უწყების პრესსამსახურში დაუდასტურეს, თუმცა მიზეზებს არ აკონკრეტებენ.***

ამ დროისთვის სასწრაფო დახმარების დედოფლისწყაროს სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად **ფატი ჯანყარაშვილი** დაინიშნა. პრესსამსახურში არ აკონკრეტებენ, რა ვადით დაეკისრება მას ხელმძღვანელის მოვალეობები, ან როდის და რა წესით შეირჩევა ახალი ხელმძღვანელი.

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ფატი ჯანყარაშვილი გაზეთ „შირაქს" ეუბნება, რომ 19 წლიანი სამუშაო სტაჟი აქვს, საიდანაც 13 წელი სასწრაფო დახმარების სამსახურში გაატარა.

„პროფესიით ვარ თერაპევტი, კარდიოლოგი, ოჯახის ექიმი... ასევე გავლილი მაქვს გადაუდებელი დახმარების კურსები, მუშაობის დაწყების დღიდან გარკვეული პერიოდულობით გავდივართ პროფესიული განვითარების უწყვეტი გადამზადების კურსს", — ამბობს ფატი ჯანყარაშვილი.

ვასილ სამადაშვილი ადგილობრივ ფილიალს ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. საკადრო ცვლილებებზე საჯაროდ საუბარი არც მას სურს.



# სპორტი, როგორც ჯანმრთელობის და ჯანსაღი ურთიერთობის საწინდარი

***სპორტის სიყვარულმა მისი პროფესიული არჩევანი ბავშვობიდან განსაზღვრა. როგორც თავად ამბობს, ფიზკულტურა, როგორც საგანი, საყვარელი პედაგოგის წყალობით გამოარჩია, რომელიც ფიზკულტურის გაკვეთილებს მეორეხარისხოვნად არ თვლიდა და მოსწავლეებს სპორტული ფორმის „დავიწყებას“ ანდა გამოგონილ ავადმყოფობას საპატიო მიზეზად არ უთვლიდა. საბჭოთა ბავშვებს სხვადასხვა ნორმატივების ჩაბარება უწევდათ, ამისთვის მათ შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ჰქონდათ და სპორტული ატრიბუტიკაც. დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონიც მეტად დატვირთული იყო შეჯიბრებებით და მუდამ სავსე მოსწავლე-ახალგაზრდობით, რომლებიც სპორტის სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშობდნენ. როგორ აფასებს განვლილ წლებსა და პედაგოგიურ მოღვაწეობას ფიზკულტურის მასწავლებელი ᲓᲐᲚᲘ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რომელსაც სპორტის დარგში მოღვაწეობის 52-წლიანი სტაჟი აქვს, ამ დღეებში კი დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა, ამის შესახებ ის გაზეთ „შირაქს“ ესაუბრება.***

– მე-5 კლასიდან აქტიურად ვიყავი სპორტში ჩაბმული. საგანს დავით გოგაშვილი გვასწავლიდა. იყო ჩემი კლასის ხელმძღვანელიც. ვიყავი ძალიან აქტიური, როგორც კალათბურთში, ასევე ფრენბურთში, სირბილში, სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. მეექვსე, მეშვიდე კლასიდან უკვე გამოვდიოდი შეჯიბრებებზე, ე.წ. სასკოლო პირველობებზე. დავით მასწავლებელმა შემაყვარა სპორტი.

იმ უბანში, სადაც ვიზრდებოდი, მაშინ ძალიან მჭიდრო დასახლება იყო ბევრი ბავშვით. ვთამაშობდით „ფლაგაობას“, „წრეში ბურთს“, იქაც ვთამაშობდით და სკოლაშიც დავდიოდით სხვადასხვა წრეზე. მოგვიანებით სასკოლო გუნდში ვიყავი, კალათბურთსა თუ მძლეოსნობაში.

***— როგორ მიხვედით გადაწყვეტილებამდე, რომ ფიზკულტურის მასწავლებელი უნდა გამოსულიყავით?***

– ამ გადაწყვეტილებამდე ჩემმა სპორტულმა მიღწევებმა და ობიექტურმა გარემოებამ მიმიყვანა. უკვე გითხარით, რომ სპორტი ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ სკოლა რომ დავამთავრე, მამა ახლად გარდაცვლილი მყავდა, დედა არ მუშაობდა, ოჯახს მატერიალურად უჭირდა და დედამაც მირჩია, რომ ამ განხრით მიმეღო უმაღლესი განათლება. საშუალო სკოლა საკმაოდ მაღალი მოსწრებით დავამთავრე, მაგრამ სპორტის სიყვარულმა და იმ დროს შექმნილმა სიტუაციამ საბოლოოდ განსაზღვრა ჩემი პროფესიული არჩევანი.

***— ისეთი საგნები, როგორიც იყო მუსიკა, ფიზკულტურა, ხატვა, მეორეულ საგნებად ითვლებოდა და ბავშვებიც ცდილობდნენ, ათასნაირი ხრიკი მოეგონებინათ, რომ ნორმატივი არ ჩაებარებინათ. ამის გამო მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეებს ნიშნებს ნაკლებად აკლებდნენ...***

– მაშინ ამ საგანში ნიშნები იწერებოდა. დავით მასწავლებელი სულაც არ იყო ლმობიერი იმ ბავშვების მიმართ, ვინც მის საგანს პატივს არ სცემდა. ძალიან მკაცრი იყო იმ მოსწავლეების მიმართ, ვინც ფორმის გარეშე მოვიდოდა, ან თავის არიდებას ვითომ ავადმყოფობის გამო ცდილობდა. შეუწყნარებელი იყო მათ მიმართ.

***— რას იტყვით დღევანდელი გადმოსახედიდან, ბავშვებს რამდენად აინტერესებთ სპორტი? მიუხედავად იმისა, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მხრიდან, დააშორა თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიებმა ახალგაზრდობა სპორტს?***

— არიან ბავშვები, რომლებსაც მართლა უყვართ სპორტი. ისინი სექციაშიც გაერთიანებულები არიან და შეჯიბრებებზეც დადიან. სკოლების ერთ შენობაში გადასვლამ გარკვეული პრობლემებიც შექმნა. პირველ საჯარო სკოლას თავისი სპორტის დარბაზი აღარ აქვს, ასევე არ გვაქვს სპორტული ინვენტარი და იარაღები. გვესმის, რომ ეს პრობლემა დროებითია და სკოლის ახალი შენობის აშენების შემდეგ სპორტული ინფრასტრუქტურაც მოწესრიგდება, მაგრამ დღევანდელი რეალობა არცთუ სახარბიელოა...

ყველა დროში იყვნენ კარგი ბავშვები, რომლებსაც შესაბამისი მონაცემებიც ჰქონდათ და ინტერესიც და ახლაც არიან. კალათბურთის სექციაში ბევრი მოსწავლეა გაწევრიანებული. კალათბურთელი გოგონები აპრილში მონაწილეობას მიიღებენ კახეთის რეგიონალურ შეჯიბრში და მოგებისთვის სერიოზულად ემზადებიან. ფრენბურთის სექციაში გაწევრიანებული ბიჭუნების გუნდი საკმაოდ ძლიერია. ბავშვები დაინტერესებულები არიან, რომ შეჯიბრის დროს მეტოქეებს ღირსეულად შეებრძოლონ. წარსულის მაგალითებს თუ გავითვალისწინებთ, ჩემს მიერ მომზადებულ ახალგაზრდა ფრენბურთელებს ბევრჯერ უსახელებია დედოფლისწყარო არა მარტო რეგიონულ დონეზე, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბითაც.

***— რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით თქვენი სპორტული ცხოვრებიდან...***

– მე ტანვარჯიშის სექციაშიც დავდიოდი მოსწავლეობის დროს. მახსოვს, ერთხელ, ე.წ. ტაიჭზე უნდა გადავმხტარიყავით ფეხშლით ხტომით. გადახტომის დროს ცალი ფეხი უხერხულად წამომედო და მუხლით დავეცი. მივიღე ტრავმა და მუხლი დამისივდა. ტკივილზე მეტად იმის მეშინოდა, რომ სიმართლის გაგების შემთხვევაში მშობლები სექციაზე აღარ გამიშვებდნენ. ამიტომ ტყუილის თქმა მომინია, ვითომ კიბეზე წავიქეცი. სექციიდან არავის გამოვუყვანივარ, მაგრამ იძულებითი პაუზა კი ავიღე ტანვარჯიშის გაკვეთილებზე. ახლა ამ და სხვა კურიოზებს ღიმილით ვიხსენებ.

***— თქვენ და ოჯახი...***

– მეუღლე კარგი სპორტსმენი იყო. სამწუხაროდ, ჩვენ სიკვდილმა დაგვაშორა. მან რუსეთში დაამთავრა ზოოტექნიკური ფაკულტეტი, სტუდენტობისას თამაშობდა სტავროპოლის გუნდში, სანამ საქართველოში იყო, თამაშობდა თბილისის ლოკომოტივის საფეხბურთო გუნდში. მას საკმაოდ კარგი სპორტული მიღწევები ჰქონდა-კარგი თავდამსხმელი იყო.

***— როგორ გაიცანით მომავალი მეუღლე?***

– ჩვენ სკოლიდან ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ შორიდან. მამამისი და მამაჩემი ერთ კოლექტივში, „ორჯონიკის“ სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდნენ. ვიცოდი, რომ „ბაღჩოს“(გივი პაპუაშვილი) ეძახდნენ, პაპის სახელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რაიონში რომ დავბრუნდი, „ჩალაბა“ და გივი სტადიონზე ერთად მოდიოდნენ ხოლმე, რადგან ორივე ფეხბურთელი იყო. აქ უკვე კოლეგიალური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. სპორტის მასწავლებლები ვიყავით და ერთმანეთს ხან კალათბურთის თამაშში და კალათში ბურთის ჩაგდებაში ვეჯიბრებოდით, ხან სპორტის სხვა სახეობაში. წაგებულს შოკოლადის ფილა უნდა ეყიდა. ამჯერად წაგებული „ბაღჩო“ აღმოჩნდა. მე კალათში ბურთი ყველაზე წარმატებით ჩავაგდე. მან შოკოლადის ფილა მომიტანა. მე კი გადავწყვიტე, მისთვის „სასტვენი“ მომეტანა, რომლის არქონაზეც მან დაიწუწუნა. ასე, კალათბურთის თამაშში კი დავახლოვდით, მაგრამ მისი ნამდვილი სახელი არ ვიცოდი, ვერც ვეკითხებოდი. მეორე დღეს მოვუტანე დაპირებული სასტვენი. სტადიონზე ბავშვებს ვავარჯიშებ. ამ დროს გამოიარა „ბაღჩომ“. სასტვენი მაქვს, მაგრამ ვერ ვეძახი. გამოსავალი მოვძებნე და სასტვენს სული ჩავბერე. სტვენის ხმაზე მოიხედა და მიხვდა, რომ დანაპირები შევასრულე. ასე, უხმო ზრუნვით დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა.

გვეყოლა ორი შვილი, ორივე ვაჟი. უფროსი, კახა, მალე 50 წლის გახდება, უმცროსი კი 47 წლის. ორივე ბავშვს მიდრეკილება ჰქონდა სპორტისადმი, და რადგან მთელი ოჯახი ვიყავით სპორტული, 1984 და 1989 წლებში ორჯერ გავედით საოჯახო სპარტაკიადაზე. გავიმარჯვეთ ჯერ რეგიონული მასშტაბით, შემდეგ კი გავხდით საქართველოს ჩემპიონები. 1989 წელს რაიონის გუნდებიდან ჩვენ გავედით პირველ ადგილზე საქართველოს მასშტაბით, საქალაქო გუნდებიდან-ბოისას ოჯახი. ორივე ოჯახი წავედით მოსკოვში, სადაც ორი კვირის მანძილზე მონაწილეობა მივიღეთ საკავშირო ფესტივალში. ეს იყო ძალიან კარგად ორგანიზებული და სპორტული ღონისძიებებით დატვირთული დღეები, რომლებსაც დღემდე სიამოვნებით ვიხსენებ.

***— რას ეტყოდით მომავალ თაობას?***

– მეტად დაკავდნენ სპორტით, იყვნენ ფიზიკურად აქტიურები იმისთვის, რომ იყვნენ ჯანმრთელები. დღეს, კომპიუტერმა და ტელეფონმა ბავშვებს თამაში და ნაღდი, უშუალო ადამიანური ურთიერთობები დაავიწყა. მეტი სპორტული ვარჯიში ჯანმრთელობის საწინდარია, ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ხერხემლის დაავადებები ძალიან გაახალგაზრდავდა. „ჯანსაღ სხეულში რომ ჯანმრთელი სულია“, ეს არც წარსულის გადმონაშთია და არც მითი, ეს რეალობაა.

ესაუბრა

**ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# გაცვლითი პროგრამის კიდევ ერთი მონაწილე

***ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული მარიამ სეხნიაშვილი, რომელიც ამჟამად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის მეოთხე კურსის სტუდენტია, „ერასმუს“-ის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პოლონეთში იმყოფებოდა, სადაც ერთი სემესტრი მაზოვიის აკადემიაში ისწავლა. მარიამი სამშობლოში რამდენიმე კვირის წინ დაბრუნდა და გაზეთი „შირაქი“ სწორედ პოლონურ შთაბეჭდილებებზე სასაუბროდ შეხვდა.***

**მარიამ სეხნიაშვილი:** „ერასმუსის პროგრამაში მონაწილეობა ჩემთვის არ ყოფილა მოულოდნელი, ბავშვობიდან ვოცნებობდი გაცვლით პროგრამაში მონაწილეობასა და ამ გამოცდილების მიღებაზე. მოგეხსენებათ, ყველაფერი ოცნებით იწყება, რასაც ამ ოცნების ახდენისთვის ბრძოლა მოსდევს. სწორედ ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. საკმაოდ პატარა ასაკიდან დავისახე მიზნად, რომ ოდესმე გაცვლითი პროგრამის მონაწილე ვყოფილიყავი და ამ მიზანს ბევრი შრომის შედეგად მივაღწიე. ამ პროცესში ბევრი ბარიერი იყო და ერთ-ერთი დიდი დაბრკოლება ჩემთვის პანდემია აღმოჩნდა, რამაც იმედი თითქმის გადამიწურა, მაგრამ მაინც გავაგზავნე შესაბამისი დოკუმენტები და მიზანს მივაღწიე.

— ***ამ პროგრამაში მოხვედრა მარტივი არ არის, რა გზა განვლე გამგზავრებამდე?***

— რა თქმა უნდა, არც ამ პროგრამაში მონაწილეობა იყო მარტივი, ვინაიდან მთელი ეს პროცესი საკმაოდ დამღლელი და სტრესული იყო, თუმცა, შედეგზე ორიენტირებული და წარმატების მომტანი. ჩემი აკადემიური მოსწრება და აქტიურობა გადამწყვეტი აღმოჩნდა, გავიარე კონკურსი და ბევრი ლოდინისა და ინტერვიუების შემდეგ შემარჩიეს ერასმუსის პროგრამის მონაწილედ, რომლის ფარგლებშიც ერთი სემესტრი პოლონეთში ვისწავლიდი.

— ***რაში დაგეხმარა პოლონური გამოცდილება?***

— თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემთვის ეს პროგრამა დიდი გამოცდილების მომტანი იქნებოდა და ასეც მოხდა. უპირველასად, იმიტომ რომ უცხო ქვეყანაში გამგზავრება სირთულეებთან ბრძოლას, საკუთარი თავის განვითარებას და პრიორიტეტების გადახარისხებას გასწავლის. ყველაფრის კეთება დამოუკიდებლად გიწევს, რაც ცხოვრებისეულად გზრდის და გაძლიერებს. დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ ჩემს კარიერულ წინსვლაში ეს პროგრამა უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს. ამ პროგრამამ ბევრი რამ მასწავლა, როგორც კარიერულად, ასევე ადამიანური უნარ-ჩვევების კუთხით. ვფიქრობ, იქ ყოფნამ საკმაოდ განმავითარა და დამარწმუნა იმაში რომ, ახალ გამოწვევებზე უარი არასდროს უნდა თქვა.

რაც ყველაზე მთავარია, მივიღე ცოდნა, რითაც დარწმუნებული ვარ, ჩემს სფეროში უფრო მეტად კომპეტენტური გავხდები. იქ სწავლასთან ერთად ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტურ ცხოვრებას, რამაც კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადა ეს 5 თვე. იყო ადგილობრივი თუ საერთაშორისო აქტივობები, სტუდენტური პროექტები, სხვადასხვა ტურები და ბევრი განსხვავებული ქვეყნის წარმომადგენელი - ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ აქტივობებისა, რაზეც უნივერსიტეტები აქტიურად მუშაობენ.

— ***რამდენად კმაყოფილი დაბრუნდი, გამართლდა თუ არა შენი მოლოდინი?***

— საბოლოოდ შემიძლია ვთქვა, რომ ამ პროგრამაში მონაწილეობა საუკეთესო გადაწყვეტილება იყო ჩემს ცხოვრებაში, რადგან ამ 5 თვეში იმდენი გამოცდილება მივიღე, რამდენსაც, ალბათ, აქ დარჩენის შემთხვევაში კიდევ ბევრი წლის განმავლობაში ვერ მივიღებდი. ჩემი აზრით, აუცილებელია ეს გამოცდილება ბევრ სტუდენტს ჰქონდეს. ამიტომ, ყველას ვურჩევდი, გააკეთონ თავიანთი მაქსიმუმი და განათლების მიღებასთან ერთად, გახადონ თავიანთი სტუდენტური ცხოვრება უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი.

— ***როგორია შთაბეჭდილებები და რა პარალელების გავლება შეძელი ქართველ და პოლონელ ხალხს შორის?***

— მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ცივი ქვეყანაა, ეს ხელს არ უშლის იმას, რომ მარტივად იმოგზაურო ქვეყნის მასშტაბით. შემოდგომის ღამაზი ფერები ნელ-ნელა იცვლებოდა ცივი, მაგრამ სასიამოვნო თოვლით, რაც საშუალებას მაძლევდა ზამთარი უფრო მძაფრად შემეგრძნო. თავდაპირველად, ხალხი ერთი შეხედვით ცივი და უხეში მომეჩვენა, თუმცა, მათი ახლოს გაცნობის შემდეგ მივხვდი, ვცდებოდი. მიუხედავად იმისა, რომ რთულად ენდობიან ადამიანს, საკმაოდ კარგი მეგობრობა იციან, რაც რა თქმა უნდა, დასაფასებელია.

— ***პროგრამული ნაწილის გარდა, თავისუფალ დროს რისი მონახულება შეძელი?***

— ამ 5 თვის საუკეთესო ნაწილი ჩემთვის მაინც მოგზაურობა იყო, ვინაიდან ევროპის ქვეყნებში ეს ძალიან მარტივია. სასიამოვნოა იმ ფაქტის გააზრება, რომ შეგიძლია 5 წუთში დაგეგმო ერთი ქვეყნიდან მეორეში წასვლა და ეს ყველაფერი სხვადასხვა რთული პროცესების გარეშე გააკეთო. შესაბამისად, ამ შანსის ხელიდან გაშვებაც არ იქნებოდა სწორი.

ვიმოგზაურე ავსტრიაში და ჩეხეთში და ორივე ქვეყნით აღფრთოვანებული დავრჩი. ულამაზესი იყო ბელვედერის სასახლე და ალბერტინას მუზეუმი ვენაში. ხოლო პრაღის სასახლე და წმინდა ნიკოლასის ტაძარი პრაღაში. რა თქმა უნდა, ეს არასრული ჩამონათვალია იმისა, რაც ვნახე, თუმცა, ამ ოთხს გამოვყოფდი ყველაზე მეტად, ვინაიდან მოვიხიბლე მათი არქიტექტურით, ისტორიით და განსხვავებული სტილით. ამასთან ერთად, ჩემთვის ამ მოგზაურობის საუკეთესო

ნაწილია ქვეყნების და ტურისტების მრავალფეროვნება. ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა იმ ქალაქში ყოფნა, სადაც შეიძლება უამრავ ადამიანს შეხვდე სხვადასხვა ქვეყნიდან, განსხვავებული ისტორიებით. ეს ყველაფერი მაძლევს საშუალებას რაც შეიძლება მეტი კულტურა შევიცნო და განსხვავებული ისტორიები მოვისმინო ადამიანებისგან და, რაც მთავარია, ბევრი მეგობარი შევიძინო.

— ***სკოლას რა როლი აქვს შენს ცხოვრებაში და რამდენად ახერხებს ის ხარისხიანი განათლების მიცემას?***

— ვიტყოდი, რომ სკოლას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს წარმატებაში. სწორედ სკოლამ ჩამომიყალიბა ის დისციპლინა სწავლისა და განათლებისადმი, რამაც საბოლოო ჯამში მომცა საშუალება მიმეღო განათლება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. კარგი სწავლისთვის და შედეგებისთვის თანამედროვე ინფრასტრუქტურასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია გარემო და ის, თუ რამდენად კვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან აქ. გარემოში ვგულისხმობ კლასელებს, მათთან კომუნიკაციას და ასე შემდეგ. პირადად ჩემთვის, ინფრასტრუქტურაზე მეტად მნიშვნელობა მასწავლებლებს ენიჭებოდა, რადგან მათი დახმარებით მოვედი იქ სადაც ახლა ვარ. მაშინ როცა სკოლა დავამთავრე, ინფრასტრუქტურა და პირობები, ჩემი აზრით, სხვა სკოლებთან შედარებით, დიდად სახარბიელო არ ყოფილა, მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# მარტი და ქალთა უფლებები...

***მარტი ქალთა უფლებების თვეა. წელიწადში ერთხელ, მთელი მსოფლიოს ქალები ზეიმობენ თავიანთ უფლებებს და თავისუფლებებს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 21-ე საუკუნეშიც, რომელსაც ხშირად „ქალების საუკუნეს“ უწოდებენ, ქალთა უფლებები და მათი დაცვა კვლავ გლობალურ პრობლემად რჩება.***

საქართველოში, სადაც ქალთა უფლებების დაცვის საკითხი კვლავ აქტუალურია, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ამ მიმართულებით მრავალი პროექტი ხორციელდება. თანამედროვე გოგონები სულ უფრო ხშირად აცხადებენ, რომ მათთვის მთავარი სამსახური და კარიერაა. მათი დედები უმთავრესად ისეთ ოჯახებში იზრდებოდნენ, სადაც „შემომტანი“ მამაკაცი იყო. მიიჩნეოდა, რომ ქალს სათანადო განათლება უნდა მიეღო, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ღირსეული შვილები აღეზარდა და მთელი ცოდნა და გამოცდილება ოჯახისთვის მოეხმარებინა. ქალიც, როცა ისეთ მეუღლეს შეხვდებოდა, რომელსაც ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფა შეეძლო, უმეტესად სიამოვნებით ამბობდა უარს სამსახურზე და დიასახლისთა რიგებს ემატებოდა. ***თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი ცხოვრება მხოლოდ სადილ-ვახშმის კეთების, რეცხვა-დალაგებისა და ტელეფონზე საუბრისგან შედგებოდა. ქალების უმრავლესობა საკმაოდ განათლებული და გემოვნებიანი იყო, ესწრებოდა კონცერტებს, თეატრალურ წარმოდგენებს, მართავდა წვეულებებს, მოგზაურობდა და მიაჩნდა, რომ ქალისთვის ეს ერთადერთი სწორი ცხოვრების წესი იყო.*** ჰოდა, ბუნებრივია, არ უნდა უკვირდეთ, რომ მათი შვილები მზად არიან, ბიზნესის ორომტრიალში გადაეშვან და მყუდრო ბინის დიასახლისობა საქმიანი ქალის არცთუ იოლ ცხოვრებაზე გაცვალონ.

გარდა იმისა, რომ საქართველომ ბოლო წლებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (ე.წ. სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, ქალთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად და ძალადობისგან დასაცავად სხვადასხვა ღონისძიებები გაატარა, საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობაც ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

***საუკუნეების მანძილზე ქალები სოციალური სტატუსის გარეშე ცხოვრობდნენ და მათ არათუ დასაქმების, არჩევნებში ხმის მიცემის უფლებაც კი არ ჰქონდათ.*** დღესაც კვლავ პრობლემას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის საკითხი და სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებს მრავალი ასპექტით მუშაობას. თუ კაცობრიობის ისტორიას გადავხედავთ, ქალს მამაკაცებთან შედარებით ნაკლები იურიდიული უფლებები და პროფესიის მხრივ შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდათ. ქალი აღიქმებოდა როგორც ოჯახის ბურჯი, მისი უმთავრესი მოვალეობა კი ოჯახი და შვილები იყო. ***პირველად 1918 წელს საქართველოში, როგორც უმეტეს ქვეყნებში, ქალებმა მოიპოვეს ხმის მიცემის უფლება(სუფრაჟი) და განათლებისა და პროფესიონალური მოღვაწეობის ფართო ასპარეზი გაეხსნათ.*** მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ქალებმა იბრძოლეს და მიაღწიეს იმას, რომ საზოგადოებაში ტრადიციულად აღქმულ იმიჯთან ახალი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ქალის სახის შერწყმა მომხდარიყო. რადგან ძალაუფლებისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის ცენტრად ამომრჩეველს ვაღიარებთ, განსაკუთრებით იმ მოცემულობაში, როდესაც საქართველოს ამომრჩევლის ნახევარზე მეტი, უფრო კონკრეტულად კი, 53.58% ქალია, ქალების პოლიტიკურ მონაწილეობაზე საუბარი სავალდებულო გენდერული კვოტების მიღებით არ უნდა დავასრულოთ, მათ შორის საზოგადოების იმ ნაწილისთვისაც, რომელსაც გენდერული კვოტები ქალების მიმართ გადაწყვეტილებების მიმღებთა „სულგრძელობის“ გამოვლინებად უფრო ესახება, ვიდრე საუკუნოვანი უსამართლობისა და უთანასწორობის გამათანაბრებელ მექანიზმად. აგრეთვე, იმიტომაც, რომ სავალდებულო ***გენდერული კვოტით არჩეულ ქალ პოლიტიკოსებს შეეძლოთ ქალი ამომრჩევლის სახელით საუბარი და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ინიცირებული საკანონმდებლო წინადადებების ლეგიტიმაცია ქალი ამომრჩევლის დაკვეთის საპასუხოდ.***

მოამზადა
**ელზა ხარაშვილმა**

# როცა «არა» ბევრად სასურველია...

***საქართველოში მოკლე ტექსტური შეტყობინებების მარკეტინგული ბაზარი ახალი რეგულაციის ქვეშ მოექცა. პირველი მარტიდან ძალაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი შევიდა, რომლის მიხედვითაც, სარეკლამო შეტყობინებას ბიზნესი მომხმარებელს მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ გაუგზავნის. ცვლილებები ეხება ყველას, ვისაც მოქალაქეთა პერსონალურ მონაცემთა ბაზა გააჩნია.***

არასასურველი სარეკლამო SMS-ების გაგზავნის შეზღუდვის მიუხედავად, პირდაპირი მარკეტინგის (საქმიანობა, როდესაც ინდივიდუალურად სთავაზობენ მომხმარებელს კონკრეტული პროდუქტით, ან მომსახურებით სარგებლობას სატელეფონო, ან ნებისმიერი სხვა პირდაპირი საშუალებით) მიზნით, პერსონალურ მონაცემთა სავარაუდო უკანონო დამუშავების ფაქტების არსებობაზე განცხადება გაავრცელა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა. როგორც სამსახური აღნიშნავს, ამ პრობლემით მას მოქალაქეებმა მიმართეს. „სამსახური დადგენილ ვადებში განიხილავს სათანადო წესით წარმოდგენილ თითოეულ განცხადებას და შეაფასებს მათში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს“, - ნათქვამია განცხადებაში.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონი პირველი მარტიდან მოქმედებს. მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავება დასაშვებია მხოლოდ ინფორმირებული, კონკრეტული, თავისუფალი, მკაფიო, აქტიური ქმედებით გამოხატული თანხმობის საფუძველზე. „ზოგიერთი ორგანიზაცია კვლავ აქტიურად აგრძელებს მონაცემთა სუბიექტების სარგებლობაში არსებულ სატელეფონო ნომრებზე სარეკლამო შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას. ამგვარი ქმედება კანონიერად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, თუ იგი სატელეფონო ნომრით მოსარგებლე პირის მიერ გაცემული შესაბამისი თანხმობის საფუძველზე ხორციელდება“, - ვკითხულობთ განცხადებაში. კანონის თანახმად, თუკი სარეკლამო შეტყობინების გაგზავნის წესი დაირღვევა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, სამსახური მიმართვის საფუძველზე, განიხილავს საჩივარს და დააკისრებს ჯარიმას, რომლის ოდენობაა:

**•500 ათას ლარამდე ბრუნვის მქონე კომპანიაზე ან მეწარმეზე - 2000 ლარი;**

**•უფრო დიდი ბრუნვის მქონე კომპანიებისთვის - 3000 ლარი;**

**•დამამძიმებელი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში ჯარიმები იზრდება.**

**მნიშვნელოვანი გარემოებები:**

**•ადამიანს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია, რა წყაროებით იქნა მოპოვებული მისი საკონტაქტო მონაცემები;**

**•თუ თქვენ უარს არ იტყვით სარეკლამო შეტყობინების მიღებაზე, ამას კომპანია თანხმობად ვერ ჩათვლის.**

**პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი 8 მთავარსიახლეს ითვალისწინებს:**

***1.სარეკლამო შეტყობინებები წინასწარი თანხმობის გარეშე აღარ გამოიგზავნება.***

ახალი კანონით, სარეკლამო შეტყობინებებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა (პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება) დასაშვები ხდება მხოლოდ იმ პირის თანხმობით, ვის მონაცემებსაც ამუშავებენ.

პირს, ვის მონაცემსაც ამუშავებენ, ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია გამოიხმოს მიცემული თანხმობა. მოთხოვნის მიღებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებული იქნება შეწყვიტოს პირის მონაცემთა დამუშავება.

***2.ნებისმიერი საჯარო დაწესებულება და ასევე კერძო კომპანიათა ნაწილი ვალდებული იქნება ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.***

განისაზღვრა ის დაწესებულებები, რომლებშიც სავალდებულო იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე) არსებობა. ესენია:

• საჯარო დაწესებულება (გარდა რელიგიური და პოლიტიკური ორგანიზაციებისა);

•სადაზღვევო ორგანიზაცია;

•კომერციული ბანკი;

•მიკროსაფინანსო ორგანიზაცია;

•საკრედიტო ბიურო;

•ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია;

•ავიაკომპანია;

•აეროპორტი;

•სამედიცინო დაწესება, რომელიც მომსახურებას უწევს წელიწადში არანაკლებ 10 000 მონაცემთა სუბიექტს;

•ორგანიზაცია, რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებს მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უფლება აქვს, შეასრულოს სხვა ფუნქციაც, თუ ეს არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს. პერსონალურ მონაცეთმა ოფიცრის ფუნქციების შესასრულებლად ორგანიზაციამ შეიძლება დადოს მომსახურების ხელშეკრულება (ცვლილება ამოქმედდება 2024 წლის 1 ივნისიდან).

***3.განისაზღვრება საჯარო ან კერძო სივრცეში აუდიოჩაწერის (აუდიომონიტორინგის) წესი და პირობები.***

•მონაცემთა სუბიექტის თანხმობით;

•საოქმო ჩანაწერის წარმოების მიზნით;

•დისტანციური კომუნიკაციისას;

•პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია;

•კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

•მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია წინასწარ ან აუდიომონიტორინგის დაწყებისთანავე გააფრთხილოს მონაცემთა სუბიექტი ამის შესახებ (ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან).

***4.ზუსტდება საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული ვიდეოკამერების საშუალებით ჩანაწერის განხროციელების წესი (ვიდეომონიტორინგი).***

•ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისათვის მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებული ხდება წერილობით განსაზღვროს ვიდეოთვალთვალის მიზანი და მოცულობა, ვიდეოთვალთვალის ხანგრძლივობა და ჩანაწერის შენახვის ვადა, ვიდეოჩანაწერებზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფიზიკური პირი ვიდეომონიტორინგს ახორციელებს საცხოვრებელ შენობაში);

•სამუშაო ადგილის მიხედვით ყველა დასაქმებული პირი დამატებით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნების შესახებ.

•მონაცემთა დამმუშავებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ, თვალსაჩინოდ განთავსებულ გამაფრთხილებელი ნიშანზე დაწეროს მონაცემთა დამმუშავებლის ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები (ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან).

***5.განისაზღვრა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები.***

•არასრულწლოვანი პირის მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია თუ მან მიაღწია 16 წლის ასაკს, ხოლო 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირის - მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე;

•არასრულწლოვანი პირის მონაცემთა დამუშავებისას სავალდებულოა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალსიწინება და დაცვა. არასრულწლოვნის, მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ გაცემული თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მონაცემთა დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს (ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან).

***6.დადგინდა მონაცემების უსაფრთხოების დარღვევისას ინსპექტორისათვის შეტყობინების ვალდებულება.***

ნებისმიერი ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი, რომელიც პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს ვალდებულია აღრიცხოს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ყველა ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს (ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან).

***7.იზრდება მონაცემთა დამუშავების საფუძვლები.***

მონაცემთა დამუშავების (პერსონალურ მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, შენახვა გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, მონაცემთა გამჟღავნება და აშ) არსებულ საფუძვლებს ემატება:

•როდესაც მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ხელშეკრულების (ან სხვა გარიგების) დასადებად ან ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებების შესასრულებლად;

•მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;

•როდესაც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების (მაგ. ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში და აშ) დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად; სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად (ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან).

***8.იზრდება იმ პირის უფლებები, ვისი მონაცემებიც მუშავდება.***

მონაცემთა სუბიექტს (იმ პირს ვისი მონაცემებიც მუშავდება) უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემები უკანონოდ მუშავდება, არამედ მაშინაც:

•თუ მონაცემების დამუშავება აღარ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც მოხდა მათი დამუშავება;

•მონაცემთა სუბიექტი გაითხოვს თანხმობას, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების ერთადერთ საფუძველს.

მონაცემთა სუბიექტს ასევე აქვს უფლება ნებისმიერ მონაცემთა დამმუშავებელს მოთხოვოს მის მონაცემებთან დამაკავშირებელი ყველა ინტერნეტბმულის წაშლა (ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან).

კანონით განსაზღვრულია, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს თანხმობის გამოხმობის უსასყიდლო, მარტივი და ხელმისაწვდომი მექანიზმის შემუშავება. **ნიკოლოზ პოპიაშვილის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის აპარატის ხელმძღვანელის და სამსახურის წარმომადგენელის ევროპის მონაცემთა დაცვის ინსტიტუციაში (EDPS)** განცხადებით, ახალი კანონის თანახმად, თუ მომხმარებელი თავად გამოხატავს სურვილს, მიიღოს სარეკლამო შეტყობინებები, თავდაპირველად დაფიქსირებული უარი არ ზღუდავს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ და სად უნდა დავაფიქსიროთ გადაწყვეტილების ცვლილებაზე, პოპიაშვილი განგვიმარტავს, რომ ეს მობილურ ოპერატორებზეა დამოკიდებული და მსგავსი მექანიზმი თავად უნდა შეიმუშაონ.

კანონი მკაცრად განსაზღვრავს, რომ სარეკლამო შეთავაზებების გაგზავნის ერთადერთი ლეგიტიმური შესაძლებლობა მომხმარებლის თანხმობას უკავშირდება: „მიუხედავად მონაცემთა შეგროვების/მოპოვების საფუძვლისა და მათი ხელმისაწვდომობისა, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება შეიძლება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით“, - განმარტავს ნიკოლოზ პოპიაშვილი.

***რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ წაგეშალათ მობილური ოპერატორის შეტყობინება, სადაც პოზიცია უნდა დაგეფიქსირებინათ?***

ეს საკითხი მობილურ ოპერატორზეა დამოკიდებული და მან უნდა განსაზღვროს, ვინაიდან საკითხი სცილდება მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა სუბიექტს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს. თუ მომხმარებელს მობილური ოპერატორის შეტყობინება წაეშალა, მას აქვს უფლება რომ შეტყობინების ხელახალი გამოგზავნის თხოვნით მიმართოს ოპერატორს, თუმცა, მობილური ოპერატორს არ გააჩნია ვალდებულება ხელმეორედ გამოგზავნოს შეტყობინება. ***„იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი არ ახორციელებს პირდაპირი მარკეტინგის გზით მონაცემთა დამუშავებას, ამის მავალდებულებელ წინაპირობას არ წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა. მომხმარებელს შეუძლია მიმართოს ამ თხოვნით მობილურ ოპერატორს და შემდეგ ის გაგზავნის თუ არა მისი გადასაწყვეტია“,*** – განმარტავს ნიკოლოზ პოპიაშვილი.

სარეკლამო შეთავაზებების მიღებაზე დაფიქსირებულ უარს მოქმედების ვადა არ აქვს. გარდა ამისა, ნიკოლოზ პოპიაშვილი განმარტავს, რომ მომხმარებლის პირადი მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელმა პირმა, მის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მიცემისა და თანხმობის გამოხმობის დრო და ფაქტი უნდა აღრიცხოს პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ კანონი არ აკონკრეტებს, რა სიხშირით შეუძლია მობილურ ოპერატორებს და SMS-კონტრაქტორ კომპანიებს სარეკლამო შეთავაზებების მომხმარებლისთვის გაგზავნა. პოპიაშვილი ამბობს, რომ ახალი კანონი იზიარებს ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ძირითად ღირებულებებსა და სტანდარტებს, და ამ შემთხვევაში, მობილურ ოპერატორებს შეუძლიათ, მომხმარებლებს არჩევანის შესაძლებლობა მისცენ.

***„პირველ რიგში, მომხმარებელი სარგებლობს უფლებით, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მობილური ოპერატორისგან იმის თაობაზე, თუ ვინ წარმოადგენს მომხმარებლის მონაცემთა მიმღებს“,*** -განგვიმარტავს ნიკოლოზ პოპიაშვილი.

მისივე თქმით, ვიდრე მომხმარებელი თავის პოზიციას დააფიქსირებს სარეკლამო შეტყობინებების მიღების შესახებ, მას კონტრაქტორების შესახებ ამომწურავი და სრულყოფილი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს. „ასევე, კანონი მომხმარებლებს შესაძ***ლებლობას აძლევს, სარეკლამო შეტყობინებების მიღებაზე პოზიციის დაფიქსირების შემდეგაც, გამოითხოვოს ინფორმაცია SMS კონტრაქტორ კომპანიებზე“***, - ამბობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის აპარატის ხელმძღვანელი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა სამი მოსმენით მხარი დაუჭირა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალ კანონპროექტს, რომელიც ჯერ კიდევ 2019 წელს იყო ინიცირებული. კანონპროექტის ხელახალი განხილვა 2022 წლის დეკემბერში განახლდა, 2024 წლის 2 თებერვალს კი მიღებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ინფორმაცია გავრცელდა.

**მოამზადა**

**ჟუჟუნა ყანჩაშვილმა**

# უსაფლავო გმირის ნეშტი 32 წლის შემდეგ იპოვნეს

***სოფელ ზემო მაჩხაანიდან 24 წლის გოჩა პაპაჩაშვილი 1992 წლის ოქტომბერში გაგრაში დაეცა, მისი ცხედარი ამ დრომდე ნაპოვნი არ იყო. ობლად გაზრდილი ბიჭი ომში საბრძოლველად მოხალისედ წავიდა და უკვალოდ გაქრა.***

წითელი ჯვრის ჩართულობით მებრძოლის ცხედარი ახლახან გაგრის რაიონის სოფელ მახადირში, საერთო სამარხშია ნაპოვნი. ადგილზე 6 ცხედარია აღმოჩენილი, რომელთაგან მხოლოდ 4-ის იდენტიფიცირება მოხერხდა. სხვა ადგილებში აღმოჩენილი და იდენტიფიცირებულია კიდევ რამდენიმე ქართველის ნეშტი.

ის, რომ ერთ-ერთი ცხედარი 99,9%-ით გოჩა პაპაჩაშვილს ეკუთვნის, ამას ექსპერტიზაც ადასტურებს, რომელიც ავსტრიაში, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში ჩატარდა.

გაზეთ „შირაქის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ამჟამად 11 გმირის ცხედარი თბილისში, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროშია, მათ 27 მარტს სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენებენ, სადაც 17-დან 19 საათამდე სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება, ხოლო 28 მარტს ომში დაღუპულ გმირებს დიღომში, ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალავენ.

**ანა პაპაჩაშვილი** *(გოჩას და):* „19 მარტს მაცნობეს სამინისტროს აპარატიდან, რომ მოსულია საბოლოო პასუხები, სადაც დადასტურდა, რომ ახლახან აღმოჩენილ ცხედრებს შორის ერთი გოჩა პაპაჩაშვილს ეკუთვნის. მეორე დღეს წითელი ჯვრის ოფისშიც მიმიწვიეს, სპეციალისტებს გავესაუბრე, გადმომცეს დოკუმენტაცია, სადაც ექსპერტიზის მონაცემებია. სწორედ აქაა აღნიშნული, რომ თითქმის ასპროცენტიანი დამთხვევაა ჩვენს დეენემთან. გენეტიკური ანალიზი მე, დედაჩემმა და ბიძაშვილმა ჩავაბარეთ რამდენიმე წლის წინ და ხაზგასმით წერია, რომ 99,96%-იანი დამთხვევაა. ამიტომ ჩვენთვის ეს ცნობა ეჭვგარეშეა. როგორც მაცნობეს, ახლახან გაგრის ერთ-ერთ სოფელში განხორციელდა გათხრა, სადაც 6 ცხედარი აღმოჩნდა, იქ იყო გოჩაც დაკრძალული. მეორე დღესვე ზემო მაჩხაანში ჩამოვედი, არ მინდოდა დედისთვის ეს ინფორმაცია ტელეფონით მეთქვა. დედაჩემი გოჩას ამ დრომდე ცოცხლად ელოდებოდა, ამიტომ მძიმე იყო ეს ამბავი. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ ცხედარი ვიპოვეთ, მაგრამ ეს ამბავი ერთდროულად სასიამოვნოცაა და მტკივნეულიც“.

**ილია მარტყოფლიშვილი**

## უშუ-სანდა

# გუნდური თასი კვლავ ჩვენია!

15-17 მარტს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ქ.თბილისში გაიმართა საქართველოს თასის ჩემპიონატი უშუში. ტურნირის გამარჯვებული და გუნდური თასის მფლობელი დედოფლისწყაროს უშუს გუნდი გახდა (მწვრთნელი გიორგი ცისკარაული და ლუკა პოპიაშვილი, გუნდის მსაჯი ილია დაიაური). ინდივიდუალურ ორთაბრძოლებში დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა 8 პირველი, 7 მეორე და 4 მესამე ადგილი დაიკავეს.

**ჩემპიონები გახდნენ: ბესო გლახოშვილი, გიგა პოპიაშვილი, ირაკლი ყოჩიაშვილი, გიორგი ქართლელიშვილი, ნუგზარ ჭრელაშვილი, დავით ბუაძე, ნიკოლოზ ხარაზიშვილი და მსოფლიო ჩემპიონი საბა გუთხუზი.**

მეორე ადგილი: **ლუკა ლიქოკელი, ლუკა კვანჭილაშვილი, დავით ქადაგიძე, ლუკა ტუხაშვილი, ზურაბი მუსელიანი, ერეკლე ქორფაშვილი, გივი გოჩიტაშვილი.**

მესამე ადგილი: **გიორგი დინგაშვილი, ნიკა ღარიბაშვილი, გიორგი ჭუჭულაშვილი, გიორგი ნაროზაული.**

**გიორგი ცისკარაული** *(მწვრთნელი):* „გუნდური პირველი ადგილი ჩემთვის როგორც მწვრთნელისთვის საუკეთესო შედეგია, წელიწადში ერთხელ იმართება ეს ტურნირი და საუკეთესო გუნდი ვლინდება საქართველოს მაშტაბით, ვისაც ყველაზე მეტი ოქროს და სხვადასხვა სინჯის მედალი აქვს ის გუნდი ხდება გამარჯვებული, ასე რომ საუკეთოს გუნდის ყოლა მწვრთნელისთვის ძალიან საამაყოა.. ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს მეორე მწვრთნელის ლუკა პოპიაშვილის და გუნდის მსაჯის ილია დაიაურის როლი ამ დიდ წარმაგებაში, ისინიც სულს და გულს დებენ და ყველაფერს აკეთებენ ბავშვებისთვის რაც შეუძლიათ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მსოფლიო ჩემპიონი საბა ბუთხუზის ბრძოლები მან 2 დღეში 4 ბროლა ჩაატარა და ოთხივეში უფლის მადლით დამაჯერებლად იმარჯვა, ასევე ძალიან მოტივირებული და საინტერესო იყო გიორგი ქართლელიშვილი რომელის „ამდერდოგად“ ითვლებოდა მაგრამ 3 ბრძოლა მოიგო და ღორსეული ჩემპიონობა იზეიმა, პირველად გახდა ჩემპიონი გიგა პოპიაშვილიც რომელმაც თავი არ დაზოგა და ბოლდე იბრძოლა, დავით ბუაძე და ნიკოლოზ ხარაზიშვილი კი უკვე თითქმის პროფესიონალურ დონეზე არიან და მათი გამარჯვრბა არც გასაკვირი იყო და არც მოულოდნელი, ნუგზარ ჭრელაშვილი და ირაკლი ყოჩიაშვილმაც არ დაზოგეს თავები და სრული შემართებით იბრძოლეს და შედეგიც სახეზეა“.

# ტრაგედიას პედაგოგი ემსხვერპლა

18 მარტს ავტოსაგზაო შემთხვევას სოფელ სამთაწყაროს სკოლის პედაგოგის 43 წლის მაია საკანელაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა. ის ავტომანქანას თავად მართავდა, რა დროსაც დედოფლისწყაროდან სამთაწყაროში მიმავალი მოცურდა და ხეს შეეჯახა.

თვითმხილველების განმარტებით, იმ დღეს წვიმდა და ნისლიანი ამინდი იყო, ავტოავარია კი სოფელ სამრეკლოს მიმდებარედ, ცენტრალურ მაგისტრალზე მოხდა. მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა, უბედური შემთხვევის შედეგად დაშავდა 7 წლის გოგონა, რომელიც პედაგოგს მინდობით აღზრდის პროგრამით ჰყავდა აყვანილი და იმ დღეს თან ახლდა.

როგორც „შირაქს“ უყვებიან, ავტოავარიამდე რამდენიმე წუთით ადრე ის სურსათის მაღაზიებში ნახეს, სადაც პროდუქტს იმარაგებდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული გოგონა ჯერ დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მოათავსეს, საიდანაც ქალა-ტვინის ტრავმით კატასტროფის ცენტრის ეკიპაჟმა ის თბილისში, ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანა. ამჟამად პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა ამ ოჯახში მინდობით აღზრდით მყოფი კიდევ ორი არასრულწლოვანი წამოიყვანა.

როგორც „შირაქს“ შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 6-ე ნაწილით მიმდინარეობს.

## მონატრება

# ავთო აფციაური

ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, ჩენო მზრუნველო, ერთადერთო საფიცარო ძმაო, ავთო!

გაილია ორმოცი უფერული, გაუსაძლისი, ცრემლებითა და მონატრებით სავსე დღე. უშენოდ მოვიდა გაზაფხული, ფერადი ყვავილებითა და ჩიტების ჭიკჭიკით. პირველი გაზაფხული, შენი უბედური დები უშენოდ რომ შვიკრიბენით შენს სახლში, 8 მარტს, დედას გარდაცვალებიდან ოთხი წლისთავის აღსანიშნავად. დაგვტოვე მოულოდნელად, ჩუმად, არაფერი არ გვითხარი, რატომ? იქნებ შენი სიკეთით სავსე გული რაიმეს გვიმალავდა, იქნებ, გიჭირდა რამე და არ გვიმხელდი, რომ არ გვენერვიულა, სულ გვაფრთხილებდი, არაფერზე იდარდოთ, რადგან მე, თქვენი ძამიკო, ყოველთვის თქვენს გვერდით ვიქნებიო, რატომ მოგვატყუე?

ამის შემდეგ ვის შევჩივლოთ ჩვენი დარდი და წუხილი? შენ იყავი ჩვენი იმედი და ხსნა. აი, ასე თავზარდაცემულები დაგვტოვე შენი დებიც და ყველა ახლობელიც. თურმე უფალსაც შენნაირი კეთილი, უბოროტო, ხალისიანი ადამიანები მიჰყავს იქ, ცათა სასუფეველში, სადაც მხოლოდ მართალნი განისვენებენ.

იძინე მშვიდად, ბუმბულივით მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა. ჩვენ ყველა მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ ლამაზ ყვავილებს, დაგინთებთ სანთლებს, რომ გაგინათონ უფლისკენ სავალი გზა, უფალს შევავედრებთ შენს სპეტაკ სულს. სულეთიდან ილოცე ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის.

**შენი გულმკვდარი, თვალცრემლიანი დები:**
**იზა, ნათელა და ნანა აფციაურები.**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერია, მწუხარებას გამოთქვამენ სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის პედაგოგის,

**მაია საკანელაშვილის**

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, ნათესავებს, თანამშრომლებს და მეგობრებს.

მაია საკანელაშვილი იყო ღირსეული მოქალაქე, პედაგოგი და ყველასთვის საყვარელი პიროვნება. მისი გარდაცვალება უდაოდ დიდი დანაკლისია არა მხოლოდ სამთაწყაროს საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისთვის და ახლობლებისთვის, არამედ მთელი მუნიციპალიტეტისთვის.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვანო პავლიაშვილს ძმის, მანანა ლამაზოშვილს, მეუღლის

**ზურაბ პავლიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

მეზობლები: მაია ბაიდოშვილი, გულიკო და სოსო გონაშვილები, დავით გოგილაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ზურა როგბიზონის ძე პავლიაშვილის**

გარდაცვალებას. გამძლეობას უსურვებენ დედას, მეუღლეს და შვილს.

მარინე და გურამი მოლაშვილები, ცისია პაპუაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს მეგობარს, მეუღლეს მარიკა გონაშვილს (ჯინაშვილისა), შვილებს ნინოს და ლალის, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, სანათესაოს, სამეგობროს, სამეზობლოს

**ვარლამი ჯინაშვილის** გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძრის წინამძღვარი – დეკანოზი ნიკოლოზი და მღვდელი გიორგი ოჯახებით, მრევლი უსამძიმრებს დეკანოზ პეტრეს და მის ოჯახს დის

**მაია ხუმარაშვილის** გარდაცვალებას.

გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დეკანოზ პეტრე ხუმარაშვილს და მის ოჯახს დის

**მაია ხუმარაშვილის** გარდაცვალების გამო.

ფატი და ლუიზა ზურაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეზობლის

**მაია ბეგაშვილი-ხუმარაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ძმას – პაატა ხუმარაშვილს, რძალს – მაია ყოჩიაშვილს, ძმისშვილს – ანას, მეუღლეს – გელა ბეგაშვილს, ოჯახსა და ახლობლებს. დაიკრძალა ქ. თბილისში, 23 მარტს.

# „ქოჩების ტბის“ ხელოვნურად შევსება დაიწყო

***„ქოჩების ტბის” ივრიდან ამოსული ჭარბი წყლით შევსების სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოინახულა.***

ქსელის გაყვანის სამუშაოებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს. დაპირების თანახმად, ქალაქ დედოფლისწყაროში ამოსული ჭარბი წყლის მარაგი უმისამართოდ აღარ დაიღვრება და მისი ტბის მიმართულებით გადაქაჩვა მოხდება. ამისათვის ახალი ქსელის აშენება იყო საჭირო.

„ე. წ. „ქოჩების ტბა“ ახალ სიცოცხლეს იძენს, რაც თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან სასიხარულო ფაქტია. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროში კიდევ ერთი ტურისტული მიზიდულობის ცენტრი გაჩნდება. მადლობა ყველას, ვისი მხარდაჭერითაც ეს სამუშაოები ხორციელდება“ – აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დალის წყალსაცავთან ახალი ჭაბურღილების მოწყობისა და წყლის რესურსის დედოფლისწყაროს ცენტრალურ რეზერვუარში ამოყვანის შემდეგ დედოფლისწყაროში წლების განმავლობაში არსებული წყლის დეფიციტი წარსულს ჩაბარდა. ჭარბი მარაგის ათვისებას მუნიციპალიტეტი ამ დრომდე ვერ ახდენს, ამდენად ზედმეტი წყალი იღვრებოდა, რის შემდეგაც რესურსით ტბის შევსების იდეა გაჩნდა.

„ქოჩების ტბა“ დაშრობას 2015 წლიდან განაგრძობდა, ის ბუნებრივ მატებას ამ დრომდე ვერ ახერხებს, რის გამოც პრობლემის გადაჭრა ხელოვნური კვების დახმარებით გადაწყდა.

# 21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა!

## გთავაზობთ რაიონული გაზეთების ჩამონათვალს, რომლებიც ისევ გამოიცემა.

**1921 წლიდან გამოდის გაზეთი „აჭარა“** — ამჟამად 10 გვერდიანი და ფერადი, ყოველკვირეული გამოცემაა. საცალო ღირებულება 50 თეთრი. გასულ წელს კვირაში ორჯერ, ან სამჯერ გამოდიოდა. მთავარი რედაქტორია მარინა მითაიშვილი. ამ ხნის მანძილზე გამოცემულია 25 130-ზე მეტი ნომერი. პარალელურად გამოიცემა რუსულენოვანი გაზეთი „ადჟარია“. ოთხგვერდიანი შავთეთრი დამატებაც 1921 წლიდან გამოდის და ხშირად მას ჩანართის ხასიათი აქვს. რუსული ვერსიის 19 700-ზე მეტი ნომერია გამოსული, რომლის რედაქტორია ლოლა ტუმასიანი.

**1923 წლიდან გამოდის სენაკის გაზეთი „კოლხეთი“** — ამჟამად თვეში ერთხელ გამოიცემა. რედაქტორია მედეა ბაღათურია. ამ დრომდე გამოიცა 9566 ნომერი. საცალო ფასია 1,40 ლარი.

**1930 წლიდან გამოდის გაზეთი „სამტრედიის მაცნე“** — ამჟამად 12 გვერდიანი, ფერადი გამოცემაა, თვეში ორჯერ გამოდის. მისი მთავარი რედაქტორია ქეთევან ჭელიძე. საცალო ფასი 75 თეთრი. სულ გამოსულია 9 400-მდე ნომერი.

**1931 წლიდან გამოდის ოზურგეთში „გაზეთი ალიონი“** — ამჯერად „ალიონი“ ყოველკვირეული, რვაგვერდიანი და ფერადი გაზეთია. მასზე წლიური ხელმოწერა 32 ლარია, საცალო ღირებულება კი 80 თეთრი. ამ დრომდე გამოსულია 10 470 ნომერი. 1962-65 წლებში იყო გურიის სარაიონთაშორისო გაზეთი. 1990 წლამდე გამოდიოდა „ლენინის დროშა“-ს სახელწოდებით. 1990 წლიდან გაზეთი დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცემად ჩამოყალიბდა და „ალიონის“ სახელწოდებით გამოდის. შპს გაზეთ „ალიონის“ მფლობელია რედაქციის კოლექტივი. გაზეთის მთავარი რედაქტორია ნუგზარ ასათიანი.

**1931 წლიდან გამოდის კასპის გაზეთი „განთიადი“** — რვაგვერდიანი და ფერადი, გამოდის თვეში ერთხელ. რედაქტორია ნანა მერებაშვილი. ამ დრომდე გამოსულია 8 200-ზე მეტი ნომერი.

**1931 წლიდან გამოდის გაზეთი „ბორჯომი“** — ყოველკვირეული, ოთხგვერდიანი ფერადი. რედაქტორია ვალერიან ლომიძე. საცალო ფასი 40 თეთრი, წლიური ხელმოწერა კი 20 ლარი. სულ გამოვიდა 9 326 ნომერი.

**1933 წლიდან გამოდის „ამბროლაურის მოამგე“** — ამჟამად თვეში ერთხელ, 4 გვერდიანი ფერადი გაზეთი იბეჭდება. რედაქტორია დალი დარახველიძე. საცალო ღირებულებაა 50 თეთრი. აქამდე გამოსულია 9900-ზე მეტი ნომერი.

**1933 წლიდან გამოიცემა გაზეთი „თერჯოლა“** — მთავარი რედაქტორია დავით კლდიაშვილი. ამჟამად გამოიცემა თვეში ორჯერ, რვაგვერდიანი, შავთეთრი. 8000-მდე ნომერია გამოსული.

**1935 წლიდან გამოიცემა გაზეთი „ბოლნისი“** — გამოდის თვეში ერთხელ, 8 გვერდიანი და ფერადი, საცალო ფასი 1 ლარი. რედაქტორია მაგდა დევნოზაშვილი. აქვს აზერბაიჯანულენოვანი გვერდებიც.

* * *

**1937 წლიდან გამოდის წითელწყაროს გაზეთი „ახალი შირაქი“,** რომელმაც რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება.

„ახალი ცხოვრებისკენ“ (1938—1940); „ახალი შირაქი“ (1940—1962); 1962 წლიდან სიღნაღი და წითელწყაროს რაიონები შეერთდა, ამდენად გაზეთებიც გაერთიანდა, ხოლო 1965 წლიდან კვლავ გამოეყო და „შირაქიც“ ინტენსიურ რეჟიმში უწყვეტად გამოდის. 1990 წლიდან ნუმერაციას აგრძელებს გაზეთი სახელწოდებით „შირაქი.“

**„ახალი ცხოვრებისაკენ“** საქ. კ.პ.(ბ) წითელწყაროს რაიკომის და რაიაღმასკომის ექვსდღიური გაზეთია. პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ახობაძე. იბეჭდება საქნავთის სტამბაში. **„ახალი შირაქი“** ეწოდა 1940 წლიდან. 1940-1949 წლებში წითელწყაროს რაიკომის და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს ორგანოა. პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი მოლოდინი. კვლავ საქნავთის სტამბაში იბეჭდებოდა. 1965-დან 1990 წლამდე გაზეთის რედაქტორია გოდერძი ტოკლიკიშვილი. არქივი დაცულია პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. 1942 წლიდან სრული არქივი შენახულია ასევე რედაქციაში.

**ზემო მაჩხაანში 1957–დან 1990 წლამდე უწყვეტად გამოდიოდა გაზეთი „კომუნიზმისკენ“** — სასოფლო გაზეთს გამოსცემდა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამგეობისა და პარტიული კომიტეტის ათდღიური ორგანო იყო. იბეჭდებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობის, პოლიგრაფიის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბაში. არქივი დაცულია პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

არბოშიკში 1957—1990 წლებში გამოდიოდა „წითელი არბოშიკი“, საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი, რომელიც 1990-91 წლებში გამოდიოდა სახელწოდებით არბოშიკი. წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტისა და გამგეობის ათდღიური ორგანო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის რედაქტორი: გ. კაკალაშვილი. იბეჭდებოდა ადგილზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობის პოლიგრაფიასა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის პოლიგრაფმრეწველობის სამმართველოს წითელწყაროს სტამბაში. არქივი დაცულია პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

* * *

ახლადდაარსებული გაზეთები გამოდის 2007 წლიდან „დუშეთის მაცნე“, რვაგვერდიანი და ფერადი, რედაქტორი მიხეილ ჭონქაძე, არარეგულარული პერიოდულობით გამოდის და ვრცელდება უფასოდ. „ასპინძის სიახლენი“, 4 გვერდიანი შავთეთრია. თვეში ერთხელ გამოიცემა და მერიის ადმინისტრაციული სამსახური გამოსცემს. ვრცელდება უფასოდ. ყოველკვირეულად გამოდის საგარეჯოში **„გარეჯის მაცნე“** თვეში ორჯერ გამოდის, რვაგვერდიანი და ფერადი, ღირებულება 1 ლარი. რედაქტორია თინათინ ილაური. „ახალგორი“ თვეში ერთხელ გამოიცემა, 12 გვერდიანი, ფერადი გარეკანით. ვინაიდან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამო მუნიციპალიტეტი ოკუპირებულია, გაზეთი წეროვანის დევნილთა დასახლებაში მოქმედებს. რედაქტორია ანა ყურშავიშვილი. **„ხაშურის მოამგე“** 6 გვერდიანი ყოველკვირეული გაზეთია, რომელსაც ხაშურის მუნიციპალიტეტის აიპი გამოსცემს. მთავარი რედაქტორია გიორგი გოგალაძე.



## სასიხარულო ინფორმაცია:

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „სამუსიკო სასწავლებლებში ინსტრუმენტების განახლება“ ერთ-ერთი გამარჯვებული ჩვენი სკოლაცაა, რის შედეგად ხელოვნების სკოლას საჩუქრად გადმოეცა ახალი აკუსტიკური პიანინო.

დიდი მადლობა სამინისტროს და პირადად მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს ამ დიდებული საჩუქრისათვის.

***პატივისცემით,*** **დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლა**

# პრესის დღე ბიბლიოთეკაში

21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღე აღინიშნა დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკასა და სოფლების - მირზაანის, არბოშიკის, ოზაანის, სამრეკლოს, ზემო ქედის ბიბლიოთეკებში.

მოზარდებმა დედოფლისწყაროში მოქმედი გაზეთი „შირაქი“ წაიკითხეს და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ დედოფლისწყაროში გაზეთი 87-ე წელია უწყვეტად გამოდის და რაიონის ისტორიას ქმნის.

# ამინდი

## დედოფლისწყარო

| ორშაბათი 25.03 | | სამშაბათი 26.03 | | ოთხშაბათი 27.03 | | ხუთშაბათი 28.03 | | პარასკევი 29.03 | | შაბათი 30.03 | | კვირა 31.03 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 9° | –3° | 14° | 2° | 11° | 2° | 13° | 2° | 13° | 5° | 14° | 5° | 14° | 5° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
**გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი**